ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2564863

ნომერი: AR1395891

თარიღი : 12.04.2016

გაცემის თარიღი : 26.04.2016

გაცნობის თარიღი : 26.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანის N2-სა და N4-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ პატარიძე პ/ნ 41001001093
- თბილისი საბურთალოს ქ. N 67ა ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 12 აპრილს #AR1395891 განცხადებით მომართა ვლადიმერ პატარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის #2-სა და #4-ს შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.034.073) ავტოგაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2015 წლის 23 მაისის #1913341 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით. ხოლო, სამსახურის 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 17.03.2016-დან 17.06.2016-ის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებებში დამკვეთად მითითებულია შპს მეთე. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882016129433; მომზადების თარიღი: 04/03/2016 წ.; საკადასტრო კოდი: #01.72.14.034.073) მიხედვით, საპროექტო ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს მეთე. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16054244; მომზადების თარიღი: 28/03/2016 წ.; ს/კ: #405058510) თანახმად, შპს მეთეს დირექტორს წარმოადგენს ვლადიმერ პატარიძე.

დღეისათვის მესაკუთრე ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მას აღარ აქვს აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი. სამსახურში წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

შესაბამისად, ვინაიდან ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მესაკუთრეს აღარ აქვს სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი და ამასთან, საპროექტო ობიექტზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე – ვლადიმერ პატარიძის 2016 წლის 12 აპრილის #AR1395891 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 20 თებერვლის #1744952 და 2016 წლის 17 მარტის #2480606 ბრძანებები;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.